შ.პ.ს. "კონსტუდიო"

1ს

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდთან, (ნაკვეთი №16/73 - ს/კ 01.10.13.016.073) საოფისე შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2017

წინა პირობები:

შპს **"A&D studio"**-ს დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდთან, (ნაკვეთი №16/73 - ს/კ 01.10.13.016.073) საოფისე შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს "საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ 2017 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს **"A&D studio"**-ს მიერ შესრულებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის ვექტორული ფაილი.
3. შპს **"A&D studio"**-ს მიერ "ლირა" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს **"A&D studio"**-ს მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

განსახილველი შენობა ექვსსართულიანია, ორი მიწისქვეშა დონით. სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისათვის საძირკვლებად მიღებულია 70 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა. საძირკვლის ფილის დაფუძნება ხდება კენჭნაროვან გრუნტებზე (ფენა 2): $\varphi=30^0$; E=30 მპა.

ქვაბულის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროექტში გათვალისწინებულია დროებითი გამაგრების ბურღვით-ინექციური ხიმინჯების (ნარანდი) მოწყობა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (400X400), კოჭების (400X600) და გადახურვის ფილების

(b=250) ნაწილობრივ ურიგელო, კარკასულ-ჩარჩოვანი სივრცული სისტემით. მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-ჩარჩოვანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება- გაანგარიშება განხორციელებულია "ლირა" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორება გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

დასკვნა:

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა რეალიზაციისთვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ედიშერ წოწერია

შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ



თბილისი 24-11-2017